პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის

ბრძანება №08

2022 წლის 18 მარტი

ქ. თბილისი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შენახვის, გამოყენებისა და აღრიცხვა -ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის, 52-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 58-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 29 თებერვლის ბრძანება №26 – ვებგვერდი, 29.02.2024წ.

მუხლი 1

თანდართული სახით დამტკიცდეს:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შენახვის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“ (დანართი №1).
2. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა“ (დანართი №2).
3. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა“ (დანართი №3).
4. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების ჩამოწერის აქტის ფორმა“ (დანართი №4).

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 1 აპრილიდან.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი **ლელა ჯანაშვილი**